ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 426

27 დეკემბერი
"---" -------- 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში (ყოფილი "საქსოფმანქანა"), IV კვარტალის კორპუს 11-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.27.007.015.01.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, "ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში (ყოფილი "საქსოფმანქანა"), IV კვარტალის კორპუს 11-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.27.007.015.01.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 4 დეკემბრის №19.1268.1593 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში (ყოფილი "საქსოფმანქანა"), IV კვარტალის კორპუს 11, მე-6 სართულზე მდებარე 77.41 კვ.მ ფართობის №12 ბინის (საკადასტრო კოდი: №01.19.27.007.015.01.012) პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე შოთა კიკნაძესთან (პ/ნ 01027049799) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**